PUMA SE, PUMA WAY 1, D-91074 Herzogenaurach

FOREVER FASTER PUMA

ქცევის კოდექსი

PUMA პატივს სცემს ადამიანის უფლებებს. ამ მხრივ ეს განსაზღვრავს ჩვენს ჩართულობას საზოგადოებებში, სადაც ჩვენ ვმუშაობთ, და პარტნიორებთან თანამშრომლობას ჩვენს მომარაგების ქსელში.

PUMA პატივს სცემს გარემოს. ჩვენი მიზანია, ვმართოთ, შევამციროთ და მოვახდინოთ ანგარიშგება გარემოზე ზეგავლენისა როგორც ჩვენს ორგანიზაციაში, ასევე მთელ ჩვენს მიწოდების ქსელში.

ეს ორი ვალდებულება არის საჯაროდ და გამჭირვალედ გამოხატული PUMA-ს ქცევის კოდექსში.

ყველა ჩვენი თანამშრომელი, გამყიდველი და მათი ქვეკონტრაქტორი ვალდებულნი არიან, სრულიად შეესაბამებოდნენ აღნიშნულ ქცევის კოდექსს. სადაც წამოიჭრება სხვაობა და კონფლიქტი, გამოყენებული იქნება ყველაზე მაღალი სტანდარტი.

შრომითი ურთიერთობები

გამყიდველები და მათი სუბკონტრაქტორები მიიღებენ და დაიცავენ დასაქმების წესებს და პირობებს, რომლებიც პატივს სცემენ მუშაკებს, და, როგორც მინიმუმი, დაიცავენ მათ უფლებებს შრომისა მოთხოვნების დაცვის საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობების მოთხოვნების შესაბამისად.

არა ბავშვთა შრომას

გამყიდველები და მათი სუბკონტრაქტორები არ დაასაქმებენ 15 წელზე უმცროს პირებს, ან ადგილობრივი ნორმით გათვალისიწნებულ მინიმალურ ასაკზე უმცროს პირებს, ან ბავშვებს, რომლებსაც არ აქვთ მიღებული სავალდებულო განათლება.

უსაფრთხო სამუშაო გარემო

გამყიდველებმა და მათმა სუბკონტრაქტორებმა უნდა უზრუნველყონ უსაფრთხო და ჰიგიენური სამუშაო გარემო ყველა თანამშრომლისთვის. გამყიდველებმა და მათმა სუბკოტრაქტორებმა უნდა მიიღონ ყველა შესაძლო ზომა იმისათვის, რომ თავიდან იყოს აცილებული უბედური შემთხვევები სამუშაო ადგილზე, და აქტიურად ხელს უნდა უწყობდნენ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის პრაქტიკას.

გაერთიანების და კოლექტიური მოლაპარაკებების თავისუფლება

გამყიდველებმა და მათმა სუბკონტრაქტორებმა უნდა უზრუნველყონ თანამშრომელთა უფლება, გაწევრიანდნენ გაერთიანებებში, ან დასაქმებასთან და ინდუსტრიასთან დაკავშირებულ ასოციაციებში, და უფლება, აწარმოონ კოლექტიური მოლაპარაკებები. ეს უფლებები უნდა იყოს მინიჭებული დევნის, ჩარევის ან დასჯის შიშის გარეშე.

არა დისკრიმინაციას

გამყიდველები და მათი სუბკონტრაქტორები არ ახდენენ არცერთი თანამშრომლის დისკრიმინაციას. თანამშრომლებს ექცევიან თანასწორად, პატივისცემით, მიუხედავად მათი რელიგიური კუთვნილებისა, ასაკისა, სქესისა, ორსულობისა, ოჯახური მდგომარეობისა, შეზღუდული შესაძლებლობებისა, ეროვნებისა, რასისა, ეთნიკური კუთვნილებისა, პოლიტიკური შეხედულებებისა ან სექსუალური ორიენტაციისა.

ეთიკური ბიზნეს პრაქტიკა

PUMA SE არ მოითმენს კორუფციას არც მიწოდების ქსელში და არც მის უშუალო საოპერაციო სფეროში.

ღირსება და პატივისცემა

დევნა, სხეულის დაზიანება ან ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური ან ვერბალური შეურაცხყოფა არ იქნება მოთმენილი PUMA-ს მიწოდების ქსელში. გამყოდველებმა და მათმა სუბკონტრაქტორებმა არ უნდა გამოიყენონ იძულებითი შრომის არეცრთი ფორმა, მათ შორის პატიმართა შრომა, უსასყიდლო ან კაბალური შრომა.

სამართლიანი კომპენსაცია

ყველა მუშაკს აქვს უფლება, მიიღოს კომპენსაცია ყოველი სამუშაო კვირისათვის, რაც არის საკმარისი იმისათვის, რომ შეესაბამებოდეს მუშაკის ძირითად საჭიროებებს და უზრუნველყოფდეს გარკვეულ დისკრეციულ შემოსავალს. დამსაქმებლები გადაიხდიან, სულ მცირე, მინიმალურ ხელფასს ან შესაბამის უპირატეს ხელფასს, რომელიც უფრო მეტია, შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს ხელფასების მიმართ, და უზრუნველყოფენ სხვა შეღავათებს, რაც არის სავალდებულო კანონმდებლობის ან კონტრაქტის მიხედვით.

თუ კომპენსაცია ვერ უზრუნველყოფს მუშაკის ძირითად საჭიროებებს და ვერ უზრუნველყოფს გარკვეულ დისკრეციულ შემოსავალს, ყოველმა დამსაქმებელმა უნდა იმუშაოს ყველა დაინტერესებულ მხარესთან, რათა მიღებული იყოს შესაბამისი ზომები, რომლებიც მიმართულია შემოსავლის იმ დონის მიღწევისაკენ, რომელიც უზრუნველყოფს ყველა აღნიშნულ საჭიროებას.

არა ზედმეტ სამუშაო საათებს

გამყიდველები და მათი სუბკონტრაქტორები არ უნდა ავალდებულებდნენ თავიანთ მუშაკებს, იმუშაონ ზეგანაკვეთური საათები, რომლებიც აჭარბებენ შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზეგანაკვეთური საათების რაოდენობას. სამუშაო საათები არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 48 საათს და თანამშრომელს უნდა მიეცეს 1 დასვენების დღე ყოველ 7 დღიან პერიოდში.

განსაკუთრებულ შემთხვევებში, ზეგანაკვეთური საათების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 60 საათს. ზეგანაკვეთური მუშაობა უნდა იყოს ნებაყოფლობითი და უნდა იყოს ანაზღაურებული ზეგანაკვეთური სტანდარტით და არა ჩვეულებრივი მეთოდით.

გარემოს პატივისცემა

გამყიდველები და მათი სუბკონტრაქტორები ვალდებულნი არიან, დაიცვან ადგილობრივი გარემოს დაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნები და ინდუსტრიის საერთაშორისო სტანდარტები, იმის შესაბამისად, თუ რომელია უპირატესი. ყველა გამყიდველი და მათი სუბკონტრაქტორები უნდა ზომავდნენ და ამცირებდნენ მათი საქმიანობის ნეგატიურ ზეგავლენას გარემოზე.

რეგიონი	ტელეფონი	ენა
სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია	+84 989385612 +628 11 227 2143	
სამხრეთი აზია	+880 1708469256	
აღმოსავლეთი აზია	+86 13622884924	
ამერიკა	+503 77871132	
ევროპა, შუა აზია და აფრიკა	+49 15114743876 +90 532 483 6685	

გამყიდველები და მათი სუბკონტრაქტორები აღიარებენ, რომ მათი ბიზნეს საქმიანობა წარმოადგენს მკაცრი შემოწმების საგანს. ყველა სუბკონტრაქტორი უნდა იყოს უფლებამოსილი PUMA-ს მიერ და გამყიდველების პასუხისმგებლობაში შედის, რომ აღნიშნული ქცევის კოდექსი დაცული იყოს მათი სუბკონტრაქტორების მიერ.

PUMA SE იტოვებს უფლებას, შეწყვიტოს სავაჭრო ურთიერთობები ყველა იმ კომპანიასთან, რომელიც არღვევს აღნიშნული ქცევის კოდექსის მოთხოვნებს.

გთხოვთ, აღნიშნული კოდექსის მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებით ყველა მოთხოვნით, პრეტენზიით, საჩივრით და წინადადებით მიმართოთ მისამართზე sustain@puma.com ან დაუკავშირდეთ თქვენს PUMA-ს მდგრადობის ადგილობრივ გუნდს.

V. 06. 2016